არასრულწლოვანთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული გამოწვევები

2023

ადამიანის უფლებათა ცენტრი

ავტორი: ნინო ჩალაძე

რედაქტირება: ალეკო ცქიტიშვილი, გიორგი კაკუბავა

ანალიტიკური დოკუმენტი მოამზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.

სარჩევი

შესავალი 4

ბავშვთა მიმართ ძალადობა და ძალადობის ფორმები 4

ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების ანალიზი ადამიანის უფლებათა ცენტრის საქმეებზე დაყრდნობით 6

ბავშვთა მიმართ ძალადობა ოჯახში 6

ბავშვთა მიმართ ძალადობა საზოგადოებაში 8

ბავშვთა მიმართ ძალადობა სკოლაში 9

არასრულწლოვანთა საქმეების ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი მართლმსაჯულების პრობლემური საკითხები 13

არასრულწლოვანი მოწმეები 13

არასრულწლოვან პირთა ჩართვა დანაშაულში 15

არასრულწლოვანთა განრიდებისა და მათთან საპროცესო შეთანხმების დადების პრაქტიკა 15

სოციალური სამსახურის ეფექტურობა ბავშვთა უფლებების დასაცავად 17

დასკვნა 21

რეკომენდაციები 22

შესავალი

ადამიანის უფლებათა ცენტრი წლების განმავლობაში მუშაობს ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებულ საქმეებზე. უფასო იურიდიული დახმარების პროცესში გამოიკვეთა არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვასთან დაკავშირებული არაერთი სოციალური და სამართლებრივი პრობლემა.

წინამდებარე ანალიტიკური დოკუმენტი მიზნად ისახავს არასრულწლოვანთა უფლებებთან დაკავშირებით ცენტრის საქმეების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი სისტემური პრობლემების და გამოწვევების შეჯამებას, საერთაშორისო სამართლის წყაროებთან შედარებას და შესაბამისი დასკვნებისა თუ რეკომენდაციების შემუშავებას.

დოკუმენტში ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ წარმოებული საქმეების მაგალითზე განხილული და კლასიფიცირებულია ბავშვთა მიმართ ძალადობის ფორმები სხვადასხვა სოციალურ წრეებში: ოჯახში, საზოგადოებასა და სკოლაში. ასევე, რიგ შემთხვევებში, გაანალიზებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებები. დოკუმენტში ხაზგასმულია არასრულწლოვანთა საქმეების ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი მართლმსაჯულების პრობლემური საკითხები, რომლებიც უკავშირდება არასრულწლოვანი მოწმეებისთვის შეუფერებელი გარემოს შექმნას, არასრულწლოვან პირთა დანაშაულში ჩართვის გახშირებულ ტენდენციას, არასრულწლოვანთა განრიდებისა და მათთან საპროცესო შეთანხმების დადების პრაქტიკას და ა.შ. ასევე, ანალიტიკური დოკუმენტი მიმოიხილავს ბავშვთა უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით სოციალური სამსახურის ჩართულობის ეფექტურობას.

დასკვნის სახით შეჯამებულია ანალიტიკურ დოკუმენტში აღნიშნული მნიშვნელოვანი საკითხები, რაც გამომდინარეობს საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და ადამიანის უფლებათა ცენტრის პრაქტიკიდან. დამატებით, რიგ საკითხებთან მიმართებაში წარმოდგენილია პრობლემების გადაჭრისკენ მიმართული რეკომენდაციების ნუსხა.

ბავშვთა მიმართ ძალადობა და ძალადობის ფორმები

ბავშვთა მიმართ ძალადობასა და ძალადობის ფორმებზე საუბრისას, მნიშვნელოვანია საქართველოს კანონმდებლობაზე დაყრდნობით განიმარტოს ბავშვის და ძალადობის ცნებები.

საქართველოს ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, ბავშვად მიიჩნევა 18 წლამდე არასრულწლოვანი[1].

რაც შეეხება ძალადობას, მას უფრო ვრცელი განმარტება აქვს და შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვანაირად. მაგალითად, უგულებელყოფით, იძულებით; ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და სექსუალური ძალადობის ფორმებით. საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ განმარტავს სხვადასხვა ძალადობის ფორმას:

- არასრულწლოვნის კანონიერი ინტერესების უგულებელყოფა გულისხმობს მშობლის ან პასუხისმგებელი პირის მიერ არასრულწლოვნის ფიზიკური და ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობას, საფრთხისაგან დაუცველობას, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვას, სამედიცინო და სხვა მომსახურებებით სარგებლობისათვის აუცილებელი მოქმედებების განზრახ განუხორციელებლობას და ა.შ.
- იძულება შესაძლოა მოხდეს ფიზიკურად ან ფსიქოლოგიურად, რათა შესრულდეს ან არ შესრულდეს რაიმე მოქმედება.
- სექსუალური ძალადობა გულისხმობს სქესობრივი კავშირის ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით დამყარებას. ასევე, სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ ითვლება სექსუალურ ძალადობად.
- ფიზიკური ძალადობა არის ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას.
- ფსიქოლოგიური ძალადობა მოიცავს შეურაცხყოფას, შანტაჟს, დამცირებას, მუქარას ან სხვა ისეთ მოქმედებას, რომელიც იწვევს პატივისა და ღირსების შელახვას;
- ეკონომიკური ძალადობა არის ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების უფლების შეზღუდვას[2].

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის მიმართ ძალადობა აკრძალულია საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით, ის რჩება ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ გამოწვევად მთელს მსოფლიოში. ბავშვის მიმართ ძალადობა ხორციელდება ყველა ქვეყანაში, ადამიანების გეოგრაფიული მდებარეობის, მდგომარეობის და სოციალური წოდების

[1] საქართველოს კანონი, ბავშვის უფლებათა კოდექსი, მ. 3 (ა)

[2] საქართველოს კანონი, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მ. 4

მიუხედავად. ძალადობა აფერხებს ბავშვების განვითარებას, მათ კეთილდღეობას, სოციალიზაციას და სამომავლოდ მშვიდი ცხოვრების უზრუნველყოფას. ბავშვის მიმართ ძალადობა ხორციელდება სხვადასხვა ფორმით, განსაკუთრებით ისეთ წრეებში, რომლებშიც, როგორც წესი, ბავშვი თავს უსაფრთხოდ უნდა გრძნობდეს[3].

ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების ანალიზი ადამიანის უფლებათა ცენტრის საქმეებზე დაყრდნობით

- **ბავშვთა მიმართ ძალადობა ოჯახში**

პრაქტიკა ცხადყოფს რომ ყველაზე ხშირად სწორედ ოჯახში ვლინდება ბავშვის მიმართ ძალადობა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ოჯახური დანაშაული ნიშნავს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას, ხოლო ოჯახის წევრად ითვლება: დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), მამინაცვალი, შვილიშვილი, და ა.შ[4].

ადამიანის უფლებათა ცენტრი აწარმოებდა საქმეს, რომელშიც მამინაცვალი არასრულწლოვან გერებზე ახდენდა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას. ბავშვების დედას სოციალური პრობლემების გამო საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლა და სამი შვილის საქართველოში დატოვება მოუწია. საქმეში არის არაერთი მტკიცებულება, მათ შორის, მამინაცვალის მიერ განხორციელებული მუქარის შეტყობინებები დედის მისამართით, რომელშიც ის თანხის გამოგზავნას ითხოვს, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში, ირწმუნება, რომ ჯავრს მის შვილებზე იყრის. ერთ-ერთი ძალადობრივი ინციდენტის შემდეგ, ბავშვებმა დანაშაულის შესახებ პოლიციაში განაცხადეს. შედეგად, მამინაცვალი დააკავეს, მაგრამ დაწესებულება გირაოს სანაცვლოდ დატოვა. ამჟამად საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლით, რაც ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობას, სისტემატურ შეურაცხყოფას, შანტაჟს ან დამცირებას გულისხმობს. ბავშვები ამ დროისათვის აღარ ცხოვრობენ მამინაცვალთან, მაგრამ ისინი განიცდიან პოსტ-ტრავმულ სტრესს, რაც გამოიხატება სხვადასხვა ფორმით, მაგალითად, 13 წლის გოგონამ მიიყენა თვითდაზიანებები, ასევე, მას უჭირს სოციალიზაცია. ადამიანის უფლებათა ცენტრის ადვოკატის რეკომენდაციით საქმეში ჩაერთო ფსიქოლოგი.

სამწუხაროდ, ხშირია არასრულწლოვნებზე ოჯახში სექსუალურად ძალადობის შემთხვევებიც. ადამიანის უფლებათა ცენტრის ერთ-ერთ საქმეში არსებული მტკიცებულებებით იკვეთება, რომ 2020- 2021 წლებში 16 წლის ასაკიდან, გოგონაზე

[3] Violence against children, ევროპის საბჭო - ბავშვთა უფლებები.
[4] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მ. 11[1]

ფსიქოლოგიურად, ფიზიკურად და სექსუალურად ორი წლის განმავლობაში ძალადობდა მამინაცვალი. ასევე, ის ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ძალადობდა მეუღლეზე და საკუთარ არასრულწლოვან შვილებზეც. ამჟამად, საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

ადამიანის უფლებათა ცენტრის დაკვირვებით, აქტუალური პრობლემაა ოჯახში ძალადობისას ეკონომიკური ფაქტორების ნეგატიური ზეგავლენა. ხშირად დედებს არ გააჩნიათ სხვა საცხოვრებლისთვის საჭირო ფინანსები. ასევე პრობლემურია ქვეყანაში არასაკმარისი რაოდენობის თავშესაფარი. ამიტომ, ზოგჯერ, ძალადობის მსხვერპლი ქალები, ფინანსური პრობლემების გამო, იძულებულნი ხდებიან ბავშვებთან ერთად იცხოვრონ მოძალადის გვერდით. ამ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება. ერთ-ერთ დავაში, ქალმა სისხლის სამართლის საქმე აღძრა მეუღლეზე, რომელიც ძალადობდა მასსა და შვილებზე, მათ შორის, მან სექსუალურად იძალადა ქალიშვილზე. საქმის განხილვის პროცესში ადგილობრივმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა ცოლის მოთხოვნა, რომ მოძალადე მამაკაცს დაეტოვებინა სახლი, რადგან მათი განმარტებით სასამართლოს არ გააჩნდა ქონებაზე წვდომის შეზღუდვის უფლება, ვიდრე განქორწინების პროცედურები არ დასრულდებოდა. შედეგად, დედას და ბავშვებს საცხოვრებლის და სკოლის შეცვლა მოუწიათ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ ვერ დაიცვა განმცხადებლისა და მისი შვილების უფლებები მეუღლის ძალადობისგან მყისიერ დაცვასთან დაკავშირებით, რამაც გამოიწვია ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლების დარღვევა, რაც გულისხმობს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას, პირადი და ოჯახური ცხოვრების დაუცველობას[5].

ადამიანის უფლებათა ცენტრის დაკვირვებით, ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით იკვეთება სხვა პრობლემებიც, მაგალითად:

- ბავშვთა მიმართ ოჯახში ძალადობის საქმეებზე პრობლემურია საგამოძიებო უწყებებისთვის ინფორმაციის შეუტყობინებლობა, ვინაიდან, ზოგჯერ ერთ-ერთი მშობელი მოძალადე მშობლის ქმედებების დაფარვას ცდილობს.
- პრობლემურია დაზარალებულის სტატუსის მინიჭება მცირეწლოვანი ბავშვებისთვის, რომლებმაც ჯერ ლაპარაკიც არ იციან, ხოლო მშობელი/ მშობლები არ ამხელენ ძალადობას.
- განქორწინებული მშობლები ხშირად ბავშვზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენენ ბავშვის ადგილსამყოფელის სამართლებრივი განსაზღვრის პროცესში. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ცენტრის ერთ-ერთ საქმეში დედა ფსიქოლოგიურად ძალადობდა ბავშვზე მამასთან კარგი ურთიერთობის გამო.

[5] E.S. and Others v. Slovakia, no. 8227/04, 2009, (ECtHR)

- პრობლემურია ალიმენტის გადახდის აღსრულება, ვინაიდან, როცა მშობელს არ უფიქსირდება ოფიციალური შემოსავალი, სახელმწიფო უწყებებს არ აქვთ ალიმენტის იძულებით გადახდევინების ეფექტური მექანიზმები. შედეგად, ბავშვებზე ზრუნვა მხოლოდ ერთ-ერთ მშობელს უწევს.

საქართველო 1994 წელს შეუერთდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ „ბავშვის უფლებათა კონვენციას“. კონვენციის მე-19 მუხლის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოებმა ყველა საჭირო საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ღონისძიებებს უნდა მიმართონ, რათა ბავშვი დაიცვან მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან ყველა ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, შეურაცხყოფისა თუ ბოროტმოქმედებისაგან[6].

სწორედ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა, რომ უზრუნველყოს ბავშვი ისეთი დაცვითა და ზრუნვით, როგორიც საჭიროა მისი კეთილდღეობისათვის. ასევე, მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილი იყოს ბავშვის კონტაქტი ორივე მშობელთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი განშორება საჭიროა ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის[7].

- **ბავშვთა მიმართ ძალადობა საზოგადოებაში**

არასრულწლოვანი ხშირად შეიძლება გახდეს საზოგადოების მხრიდან ძალადობის მსხვერპლი სხვადასხვა უწყინარი მიზეზის გამო.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ წარმოებული ერთ-ერთი საქმე ეხება არასრულწლოვნის მკვლელობის მცდელობას, მიზეზი კი ამ უკანასკნელისთვის ტელეფონის წართმევა გახდა. ბიჭი ხშირად იყო დაცინვის და აგდებული დამოკიდებულების მსხვერპლი მისი სომხური წარმომავლობის გამო. გარდა ამისა, ის გახდა ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი ზრდასრული ძმების მხრიდან, რომლებმაც მას სცემეს და თავის არეში ბლაგვი საგნით მიაყენეს დაზიანება. არასრულწლოვანს თავზე ქირურგიული ჩარევა დასჭირდა. მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, ექიმებმა შეძლეს მისი გადარჩენა. ამჟამად საქმე არასრულწლოვნის განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით მიმდინარეობს, ხოლო დანაშაულის ჩამდენი პირები მიმალვაში იმყოფებიან.

ამგვარად, ბავშვებს ხშირად უწევთ სტრესულ გარემოში ცხოვრება საზოგადოებისგან მომავალი საფრთხეების გამო. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმოებაში იყო საქმე, რომელშიც მამაკაცი შეესწრო მეზობლის მიერ საკუთარი მამის მკვლელობას. შემთხვევის შესახებ მან პოლიციაში განაცხადა, რამაც მეზობლებს შორის ურთიერთობის

[6] საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება, „კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ“ მ. 19 (1)

[7] კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ, მ. 3; 9

გართულება გამოიწვია. აღნიშნული პირი მსჯავრდებული იყო მამის სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობისთვის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისთვის და მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა. მას, ასევე, ახასიათებდა პათოლოგიური სიმთვრალე და დალევის შემდეგ გამოხატავდა განსაკუთრებულ აგრესიას განმცხადებლის ოჯახის, მათ შორის, არასრულწლოვნის მისამართით სხვადასხვა ფორმით - სიტყვიერი შეურაცხყოფით, გინებით, ცემით და ა.შ. საქმე პრობლემურია იმ თვალსაზრისით, რომ მეზობლის მიერ ბავშვის მშობლების მიმართ ძალადობა და მუქარა ხშირად ხორციელდებოდა სწორედ არასრულწლოვნის თანდასწრებით. ფიქსირდებოდა შემთხვევები, როცა, მაგალითად, არასრულწლოვანი ღამის საათებში გააღვიძა მეზობელმა, რომელიც კარს რკინის საგანს ურტყამდა, იგინებოდა და იმუქრებოდა ძალადობრივი შეძახილებით - „ღორივით ჩაგაკლავთ ყველას ლოგინში!“ და ა.შ. ადამიანის უფლებათა ცენტრის ადვოკატმა მოითხოვა წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ მუქარის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის ცალკე გამოყოფა. ასევე, ადვოკატის რეკომენდაციით საქმეში ჩაერთო ფსიქოლოგი. არასრულწლოვანი ამჟამად დაზარალებულად არის ცნობილი.

საზოგადოებაში ბავშვის უსაფრთხოების დაცვა სახელმწიფოს მნიშვნელოვან მისიას წარმოადგენს. ამიტომ წინ გადადგმული ნაბიჯია საქართველოს ბავშვის უფლებათა კოდექსის მიღება, რომელიც შეესაბამება ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენციას და მიზანად ისახავს ისეთი საკითხების გადაწყვეტას, როგორიცაა: ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფა მისი საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით, ღირსების, უსაფრთხოების, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების დაცვა, განათლების, განვითარებისა და სხვა ინტერესების რეალიზება უთანასწორო მოპყრობის გარეშე[8]. არასრულწლოვნის პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია ის იზრდებოდეს ოჯახურ გარემოცვაში, ბედნიერების, სიყვარულისა და გაგების ატმოსფეროში[9].

- **ბავშვთა მიმართ ძალადობა სკოლაში**

საქართველოს ბავშვის უფლებების კოდექსის თანახმად, ბავშვის განათლება უნდა ემსახურებოდეს ბავშვის პიროვნების, ნიჭის, კრიტიკული აზროვნებისა და შესაძლებლობების სრულფასოვან განვითარებას. ასევე, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების მიმართ პატივისცემის გრძნობისა და არაძალადობრივი კომუნიკაციის უნარის განვითარებას[10]. ამის მიუხედავად, ბავშვთა მიმართ ძალადობა ხშირად სწორედ სკოლებში - განათლების მისაღებად არსებულ ყველაზე მნიშვნელოვან სასწავლო დაწესებულებებში ხდება.

[8] საქართველოს ბავშვის უფლებათა კოდექსი, მ. 1 (1), (2)
[9] კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ, პრეამბულა.
[10] საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, მ. 36 (1) (ა), (ბ)

ზოგჯერ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა ხორციელდება მასწავლებლების მხრიდან. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ცენტრის ერთ-ერთი საქმის მიხედვით, 7 წლის ბავშვი თანაკლასელების მხრიდან ბულინგის, ხოლო პედაგოგის მხრიდან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი გახდა. ბავშვის განცხადებით, მას დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა თანაკლასელებთან. ის ხშირად ხდებოდა დაცინვის და ძალადობის მსხვერპლი, რაც შემდგომში კლასელებს შორის კამათის მიზეზი არაერთხელ გამხდარა. ამის შესახებ ინფორმაცია ჰქონდათ როგორც კლასის დამრიგებელს, ისე სკოლის ადმინისტრაციას და დირექტორს, მაგრამ პრობლემის მოგვარების და შემდგომი გართულებების პრევენციის მიზნით, მათ სოციალური სამსახურისთვის ან ფსიქოლოგისთვის არ მიუმარავთ. მეტიც, ბავშვებს შორის ერთ-ერთი დაძაბული შემთხვევის დროს, დამრიგებელმა 7 წლის ბიჭი კლასის წინ გამოიყვანა და ყველას თანდასწრებით სახეში სილა გააწნა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მშობლის მოთხოვნით ჩატარდა სკოლის დისციპლინური კომიტეტის სხდომა, სადაც მიკერძოებული სხდომის წევრების მხრიდან ხდებოდა დედის დისკრედიტაცია, რაც მშობლისთვის განმეორებითი სტრესის გამოწვევის საბაბი გახდა. სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ აღნიშნული პედაგოგი გათავისუფლებულიყო მხოლოდ კლასის დამრიგებლობის პოზიციიდან, რაც გულისხმობს, რომ იგი იმავე კლასში კვლავ გააგრძელებს პედაგოგიურ საქმიანობას. გარდა ამისა, ყოფილმა დამრიგებლმა სატელევიზიო სიუჟეტში გააკეთა ბავშვის მიმართ შეურაცხმყოფელი კომენტარები, რამაც ბავშვის უფლებრივი მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა.

შედეგად, დამრიგებლის მხრიდან ბავშვზე ძალადობის ფაქტზე დაწყებულია გამოძიება. ადამიანის უფლებათა ცენტრის ადვოკატმა განცხადებით მიმართა: განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს; შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტს; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორს; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების დეპარტამენტს, რათა მოხდეს შესაბამისი რეაგირება მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეში არსებულ დარღვევებზე; გაიცეს დასკვნა ბავშვის უფლებების დარღვევებთან დაკავშირებით; დადგეს პასუხისმგებლობის საკითხი შესაბამისი პირების მიმართ; დადგინდეს ყოფილი დამრიგებლის მხრიდან ბავშვის მიმართ გაკეთებული შეურაცხმყოფელი საჯარო კომენტარების მართლზომიერება და ა.შ.

მნიშვნელოვანია, საკანონმდებლო დონეზე ზუსტი ფორმულირებით აიკრძალოს ფიზიკური ან სხვა სასტიკი და დამამცირებელი სასჯელი, რათა სრულიად ცხადი გახდეს, რომ ბავშვის შემთხვევაში ცემა, „გარტყმა“ ისეთივე უკანონოა როგორც ზრდასრულის შემთხვევაში. ასევე, მნიშვნელოვანია ფიზიკური დასჯის უკანონობა პირდაპირ აისახოს

აღმზრდელების, მზრუნველების, მასწავლებლების ეთიკის კოდექსებში, წესდებებსა და სახელმძღვანელოებში[11].

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში, რომელიც საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებლის მიერ მოსწავლის მიმართ სიტყვიერ შეურაცხყოფას ეხება, ევროპულმა სასამართლომ ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა, რაც პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების დარღვევას გულისხმობს[12]. ამ საქმეში მათემატიკის მასწავლებელი არასრულწლოვანს სულელს უწოდებდა, რის გამოც ბავშვი ფსიქოლოგიურ ზეწოლას განიცდიდა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამრთლოს აზრით, მასწავლებლის მიერ მოსწავლის შეურაცხყოფა სხვა მოსწავლეების თანდასწრებით, იწვევს ბავშვის დამცირებას ყველას თვალში. მართალია, ამ შემთხვევაში, სიტყვიერი შეურაცხყოფა არ იყო ყველაზე უხეში ფორმებით გამოხატული და არც შემდგომი განვითარება მოჰყოლია, მაგრამ, მასწავლებელს უნდა ესმოდეს, რომ ნებისმიერი ფორმის ძალადობა, მათ შორის - სიტყვიერი შეურაცხყოფა მოსწავლეების მიმართ, რაც არ უნდა მსუბუქი ფორმით იყოს ის გამოხატული, მიუღებელია საგანმანათლებლო გარემოში. მასწავლებლის სოციალური პასუხისმგებლობა გულისხმობს მოსწავლეებთან მხოლოდ ღირსების პატივისცემაზე დაფუძნებულ ურთიერთობას. ავტორიტეტისა და ზეგავლენის მქონე პირისგან ბავშვისთვის ისეთი სიტყვებით მიმართვა, როგორიც არის - „იდიოტი“, „სულელი“ და ა.შ. ახდენს გავლენას ბავშვის პირადი ცხოვრების უფლებასა და პატივისცემაზე. ეს მოქმედებს არასრულწლოვნის ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე, ღირსებასა და მორალურ სიჯანსაღეზე. აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ხაზს უსვამს, რომ ყველა ფორმის ძალადობა, მათ შორის, მსუბუქი ფორმით გამოხატული, მიიჩნევა მიუღებლად[13].

დამატებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას უნდა მიეღო შესაბამისი საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, სოციალური და საგანმანათლებლო ზომები, რათა ცალსახად აეკრძალა ბავშვის მიმართ ძალადობის ნებისმიერი ფორმა. სკოლას უნდა მოეხდინა შესაბამისი რეაგირება მასწავლებლის ზედამხედველობის გზით, მისი სხვა კლასში გადაყვანით ან მათემატიკის სხვა მასწავლებლის დანიშვნით, ასევე განათლების სამინისტროს მიერ შესაბამისი ზომების მიღება შესაძლოა, გამოხატულიყო მოსწავლეების დაცვის მიზნით მასწავლებლისთვის განკუთვნილი ტრენინგის ჩატარებით. საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებს საქმეზე უნდა დაეწყოთ სამართალწარმოება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ

[11] ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #8 (2006) „ბავშვის უფლება დაცული იყოს ფიზიკური დასჯისა და სხვა სასტიკი ან დამამცირებელი სასჯელებისგან“. / ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება კანონმდებლობის კვლევა, გაეროს ბავშვთა ფონდი (2017), გვ 71.

[12] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მ. 8

[13] F.O. v. Croatia - 29555/13; (ECtHR) Judgment 22.4.2021 [Section I]

დაადგინა, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ და შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა ვერ მოახდინეს სათანადო რეაგირება სკოლაში მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით და ვერც სათანადო გულმოდგინებით უპასუხეს განმცხადებლის ბრალდებებს სკოლაში არსებული შევიწროების შესახებ. ამიტომ სასამართლომ სახელმწიფოს განმცხადებლისთვის 7500 ევროს ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურება დააკისრა[14].

სკოლებში საკმაოდ ხშირია მოსწავლეებს შორის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა - ე.წ. ბულინგი. ამ დროს შეინიშნება პედაგოგების კომპეტენციის ნაკლებობა. უმეტესად სკოლა მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში ცდილობს პრობლემების მოგვარებას და ერიდება სოციალური სამსახურის, ფსიქოლოგის, ან სამართალდამცველების ჩართულობას.

ადამიანის უფლებთა ცენტრის მიერ ბენეფიციარების უფასო კონსულტაციისას მიღებული ინფორმაციით ირკვევა, რომ არასრულწლოვნები ხშირად სკოლაში დანასაც კი ატარებენ. ამგვარ ფაქტებზე ზოგიერთი მანდატური მხოლოდ „მეგობრული რჩევით“ შემოიფარგლება, რაც არასაკმარისია შესაძლო საფრთხეების თავიდან ასაცილებლად. ამ საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა. კერძოდ, საქმეში, სადაც 15 წლის არასრულწლოვანი სკოლის წინ მოსწავლემ დანით დაჭრა, პასუხისმგებლობა სახელმწიფოს დაეკისრა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ხელისუფლებამ არასათანადოდ შეასრულა სკოლის შენობაზე ზედამხედველობის მოვალეობა[15].

ამგვარად, სკოლებში ნებისმიერი ბავშვი შეიძლება გახდეს ძალადობის მსხვერპლი. ამიტომ ხელისუფლების მხრიდან მნიშვნელოვანია, ძალადობის შემთხვევებთან სწორი მიდგომებისა და შესაბამისი მექანიზმების შემოღება სკოლებში არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. ხოლო, ძალადობის იდენტიფიცირებაში, პრევენციასა და დაძლევაში მნიშვნელოვანი როლი ერთობლივად ენიჭებათ მასწავლებელს, მშობელსა და სახელმწიფოს.

[14] F.O. v. Croatia - 29555/13; (ECtHR) Judgment 22.4.2021 [Section I]
[15] Kayak v. Turkey; (60444/08); (ECHR); 2012

არასრულწლოვანთა საქმეების ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი მართლმსაჯულების პრობლემური საკითხები

- **არასრულწლოვანი მოწმეები**

სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების პროცესში ბავშვების მოწმის სახით გამოკითხვა დიდი გამოწვევაა. ხშირად გამომძიებლებს არ აქვთ ბავშვებთან ურთიერთობისთვის საჭირო საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები. ასევე, ბავშვის მონაწილეობით ჩატარებულ საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებებისისას, რიგ შემთხვევებში, საერთოდ არ არის გათვალისწინებული ბავშვზე მორგებული გარემოს შექმნის აუცილებლობა.

მაგალითად, ადამიანის უფლებათა ცენტრი იცავდა 9 და 8 წლის ძმების ინტერესებს, რომლებიც იყვნენ ოჯახში სისტემატური ძალადობის მსხვერპლნი. მამა ასევე ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ძალადობდა მეუღლეზეც. საქმეში ბავშვებისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება გაჭიანურდა და მხოლოდ ადამიანის უფლებათა ცენტრის ადვოკატის ჩართულობით მოხერხდა. გარდა ამისა, ადვოკატმა მონაწილეობა მიიღო სისხლის სამართლის საქმეზე საგამოძიებო ორგანოში ჩატარებულ ბავშვთა გამოკითხვაში. მართალია, გამოკითხვას ასევე ესწრებოდნენ ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკი, მაგრამ პროცესი იყო დროში გაწელილი, რამაც გამოიწვია ბავშვების გადაღლა. ასევე, ბავშვების გამოკითხვა მიმდინარეობდა პოლიციის შენობაში, ერთ-ერთი უფროსის ოთახში, რაც არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, ვინაიდან არასრულწლოვნების შემთხვევაში სავალდებულოა გამოსაკითხად ცალკე სივრცეების გამოყოფა.

ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ ევროპის საბჭოს გზამკვლევი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს არასრულწლოვან მოწმეთა გამოკითხვის პროცესს. ევროპის საბჭო მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, რომ არ დაზოგონ ძალისხმევა, რათა ბავშვებს შეეძლოთ ჩვენების ყველაზე კომფორტულ და საბავშვოდ მოწყობილ გარემოში მიცემა. გამოკითხვისას გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის ასაკი, აღქმის დონე, საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები და ა.შ.[16] ასევე, ა.შ.შ.-ის ბავშვის ჯანმრთელობისა და ადამიანის განვითარების ნაციონალური ინსტიტუტის მიერ შემუშავებულია (NICHD) პროტოკოლი, რომელშიც გათვალისწინებულია მეცნიერული კვლევების საფუძველზე შექმნილი დაკითხვა/გამოკითხვის სტანდარტები. პროტოკოლით დადგენილია, რომ ბავშვი იმახსოვრებს მის მიერ განცდილ მოვლენებს; დამკითხველის

[16] Guidelines on child friendly justice; (2010) ევროპის საბჭო; მინისტრთა კომიტეტი; გვ. 29, 30

პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული ბავშვის მიერ გაცემული ინფორმაციის სანდოობა და ა.შ.[17]

დამატებით გამოწვევაა არასრულწლოვანთა ჩვენებების სასამართლოში არასაკმარის მტკიცებულებად მიიჩნევა. ადამიანის უფლებათა ცენტრის ერთ-ერთ საქმეზე, სადაც არასრულწლოვნები ამავე სკოლის მუსიკის მასწავლებლის მხრიდან სექსუალური ძალადობის, კერძოდ, გარყვნილი ქმედების მსვერპლნი გახდნენ, სასამართლომ არასრულწლოვნების ჩვენება და ფსიქოლოგის დასკვნა არასაკმარის მტკიცებულებად მიიჩნია. აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ბაზაზე, 2022 წელს ამოქმედდა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრი, რომელმაც მხოლოდ თბილისის მასშტაბით, 8 თვის განმავლობაში, სექსუალური ძალადობის მსხვერპლ 80 ბავშვს გაუწია მომსახურება[18]. ეს მეტყველებს, რომ ბავშვთა სექსუალური შევიწროების არსებული სტატისტიკა საგანგაშოა, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ დამნაშავე პირების სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის სტატისტიკა არ უტოლდება დანაშაულის სიხშირეს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ამ საკითხთან დაკავშირებით ერთ-ერთი საინტერესო გადაწყვეტილება ბულგარეთის წინააღმდეგ საქმეში მიიღო. 14 წლის გოგონას განცხადებით, ის ორმა პირმა გააუპატიურა, ხოლო ადგილობრივმა ხელისუფლებამ საჩივრები არასაკმარისი მტკიცებულებების გამო არ მიიღო და განაცხადა, რომ გოგონას სხეულზე ძალადობის კვალი არ აღმოაჩნდა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მტკიცების ამგვარი სტანდარტი ხელს უშლიდა ბულგარეთის, როგორც სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შესრულებას და საქმეში იკვეთებოდა წამების აკრძალვის, პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლებების დარღვევები[19]. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების - ლანსაროტის კონვენციის მიხედვით, თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ზომებს, რათა უზრუნველყონ კოორდინაცია განათლების, ჯანდაცვის, სოციალური დაცვის სამსახურებს, სამართალდამცავ და სასამართლო ორგანოებს შორის სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის მიზნით[20]. ასეთივე კოორდინაცია ასრულებს გადამწყვეტ როლს ბავშვთა სხვა უფლებების დასაცავადაც.

[17] „დაზარალებული ან მოწმე ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვა: როგორ მივიღოთ სარწმუნო ინფორმაცია ბავშვის დამატებითი ტრავმირების გარეშე“, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი. (ბოლო ნახვა: 25.05.2023)

[18] „შენ არ იცი, რას მიკეთებს, როცა მასთან მარტო ვრჩები“- დები ბიძას სექსუალური ძალადობისთვის უჩივიან, ნინო თარხნიშვილი, (10.03.2023); (ბოლო ნახვა: 20.05.2023)

[19] M.C. v. Bulgaria; (application no. 39272/98); 2003; (ECtHR)

[20] საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება; „ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ“; მ. 10

- **არასრულწლოვან პირთა ჩართვა დანაშაულში**

ადამიანის უფლებათა ცენტრის დაკვირვებით, ბოლო პერიოდში იკვეთება შემთხვევები, როცა სრულწლოვანი პირები არასრულწლოვნებს დანაშაულის ჩადენის იარაღად იყენებენ. საქმე ისაა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია ბრალის გამომრიცხველი გარემოებები, კერძოდ, მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენამდე არ შესრულებია თოთხმეტი წელი[21]. აქედან გამომდინარე, არასრულწლოვნებს ხშირად აიძულებენ ან იყოლიებენ დანაშაულის ჩადენაზე.

ადამიანის უფლებათა ცენტრის ერთ-ერთ საქმეში არასრულწლოვანს ბრალი წარედგინა ჯგუფური ყაჩაღობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარებისათვის. საქმის გარემოებების მიხედვით, სრულწლოვანმა პირმა არასრულწლოვანთან ერთად დაგეგმა სასურსათო მაღაზიაზე ჯგუფური ყაჩაღური თავდასხმა. გასათვალისწინებელია, რომ ზრდასრული პირი უკვე წარსულში რამდენჯერმე იყო ნასამართლევი, ხოლო არასრულწლოვანს არ ჰქონია კრიმინალური გამოცდილება და დაზარალებულიც ითხოვდა მისთვის სასჯელის შემსუბუქებას. ამის მიუხედავად, არასრულწლოვანს თავისუფლების 4 წლითა და 6 თვის ვადით აღკვეთა მიესაჯა.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად, ყველას აქვს თავისუფლების უფლება, ხოლო თავისუფლების აღკვეთა უნდა წარმოადგენდეს საგამონაკლისო ღონისძიებას[22]. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაციების მიხედვით, წევრმა სახელმწიფოებმა არასრულწლოვანთა თავისუფლების შეზღუდვა უნდა გამოიყენონ მხოლოდ შესაძლო მინიმალური ვადით და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში[23], მაგალითად, როცა დანაშაული შედარებით სერიოზული ხასიათისაა, მაგრამ ჩადენილია ზეწოლის შედეგად, ასეთ დროს მნიშვნელოვანია განრიდების მექანიზმებისა და არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენება[24].

- **არასრულწლოვანთა განრიდებისა და მათთან საპროცესო შეთანხმების დადების პრაქტიკა**

საპროცესო შეთანხმება არის სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველი, რომლის თანახმად, ბრალდებული აღიარებს დანაშაულს და უთანხმდება პროკურორს სასჯელზე, ბრალდების შემსუბუქებაზე ან

[21] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მ. 33
[22] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მ. 5
[23]Resolution 2010, "Child-friendly juvenile justice: from rhetoric to reality"; (2014), ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, პარა. 6
[24]UN Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice, 40/33; (1985,)გაერო, საპარლამენტო ასამბლეა; პარა. 11

ნაწილობრივ მოხსნაზე[25]. რაც შეეხება განრიდებას, ის გულისხმობს ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, პროკურორის უფლებამოსილებას, არ დაიწყოს ან შეწყვიტოს პირის სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ აღნიშნული პირი შეასრულებს გარკვეულ წინაპირობებს[26].

არასრულწლოვანთა განრიდება-მედიაციის პროგრამა ქართულ კანონმდებლობაში 2010 წელს გამოჩნდა. ის საშუალებას აძლევს 21 წლამდე ასაკის პირს, რომელმაც ჩაიდინა ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაული, არ არის ნასამართლევი, წარსულში განრიდებული და აღიარებს მის მიერ ჩადენილ ქმედებას, განრიდებული იქნას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან.[27]

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, არასრულწლოვნის მიმართ, პირველ რიგში, განიხილება განრიდების ან აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა[28], რადგან არასრულწლოვანს უნდა ჰქონდეს შანსი, გარკვეული პირობების შესრულების სანაცვლოდ, განაგრძოს ცხოვრება ნასამართლეობისა თუ სასჯელის გარეშე და დაიწყოს კანონმორჩილი ცხოვრება წარმატებული მომავლისაკენ[29].

ამის მიუხედავად, ადამიანის უფლებათა ცენტრის საქმეებზე დაკვირვების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულის პირველად ჩადენის შემთხვევაში, მაშინ, როცა შესაძლებელია პრიორიტეტულად განრიდების გამოყენება, არასრულწლოვნებთან მიმართებაში ხშირად სწორედ საპროცესო შეთანხმება მტკიცდება. დამატებით, ბენეფიციარებთან კონსულტაციების შედეგად იკვეთება, რომ მათ არ აქვთ ინფორმაცია განრიდება-მედიაციის პროგრამის ამოქმედების შესახებ და საგამოძიებო ორგანოში მათ მხოლოდ საპროცესო შეთანხმებას სთავაზობენ მაშინ, როცა არსებობს მათი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განრიდების შესაძლებლობაც.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა საქართველოს უზენაესი სასამართლოდან გამოითხოვა ინფორმაცია საქართველოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში 2018-2022 წლებში არასრულწლოვნების განრიდებისა და არასრულწლოვნებთან საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე მონაცემების შესახებ. სამწუხაროდ, პირველად ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებული მონაცემები ცალკე არ აღირცხება, მაგრამ მოცემულია განრიდების და საპროცესო შეთანხმების დამტკიცების ზოგადი სტატისტიკა.

დიაგრამა 1. 2018-2022 წლებში საქართველოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არასრულწლოვნების განრიდებისა და არასრულწლოვნებთან საპროცესო შეთანხმების დამტკიცების სტატისტიკა

---

[25] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მ. 209

[26] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მ. 168[1]

[27] არასრულწლოვანთა განრიდება-მედიაციის პროგრამის ანალიზი, საქართველოს პროკურატურა, (2020), გვ. 3

[28] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მ. 8 (2)

[29] არასრულწლოვანთა განრიდება-მედიაციის პროგრამის ანალიზი, საქართველოს პროკურატურა, (2020), გვ. 3



2018-2022 წლებში საპროცესო შეთანხმება ჯამურად 495 არასრულწლოვანს დაუმტკიცდა, ხოლო 136 არასრულწლოვნის შემთხვევაში, მოხდა მათი განრიდება. 2022 წელს მხოლოდ 18 არასრულწლოვანი განერიდა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ხოლო 93-თან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება.

შესწავლილი საქმეებიდან, სტატისტიკიდან და ბენეფიციარებთან წარმოებული კონსულტაციებიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ცენტრს მიაჩნია, რომ განრიდება უფრო მეტად უნდა იყოს გამოყენებული იმ არასრულწლოვან პირებთან მიმართებაში, რომლებმაც პირველად ჩაიდინეს ნაკლებად მძიმე დანაშაული და ამასთან, არ ხასიათდებიან კრიმინალური ზეგავლენით.

სოციალური სამსახურის ეფექტურობა ბავშვთა უფლებების დასაცავად

სოციალური მუშაობის ძირითად პრინციპებს საქართველოს კანონი განსაზღვრავს[30], რომლის თანახმად, სოციალური მუშაკი არის პირი, რომელიც ატარებს შესაბამის სოციალურ მუშაობას, კერძოდ, პრაქტიკულ საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოებაში ინდივიდის თავისუფალ განვითარებას, მისი ინტეგრაციის ხელშეწყობასა და გაძლიერებას, რაც საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებას

[30] საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ“, მ.1

ემსახურება. სოციალურ მუშაკს გააჩნია შესაბამისი განათლება[31] და მისი ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა პრევენციული სოციალური მუშაობის ჩატარება[32].

ბავშვსა და ოჯახზე ზრუნვის სფეროში სოციალური მუშაობა გულისხმობს: ბავშვის მხარდაჭერას, მისი საუკეთესო ინტერესის დაცვას; ბავშვის შვილად აყვანის პროცესში მონაწილეობას; ბავშვის ძალადობისა და უგულებელყოფისგან დაცვის მიზნით ზომების მიღებას; დედებისა და ბავშვებისათვის თავშესაფრის მომსახურებით სარგებლობაში დახმარების გაწევას[33] და ა.შ.

ბავშვი მისი ნების საწინააღმდეგოდ არ უნდა განცალკევდეს მშობლისგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი დაშორება აუცილებელია ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. ბავშვის მშობლისგან განცალკევების თაობაზე გადაწყვეტილებას კანონმდებლობის შესაბამისად იღებს სოციალური მუშაკი, რომელიც შუამდგომლობას წარუდგენს შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეს. მოსამართლე თავის მხრივ, 24 საათის განმავლობაში იღებს გადაწყვეტილებას ბავშვის მშობლისგან განცალკევების ან განცალკევებაზე უარის თქმის თაობაზე.

ადამიანის უფლებათა ცენტრის დაკვირვებით, რიგ შემთხვევებში, იკვეთება სოციალური მუშაკების არაკვალიფიციურობა ბავშვის მშობლისგან განცალკევებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე[34]. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ წარმოებულ ერთ-ერთ საქმეში 8 წლის ბავშვი სკოლიდან გამოიყვანა სოციალურმა მუშაკმა მისი ბიოლოგიური ოჯახისგან განცალკევებისა და სხვა ოჯახში მინდობით აღზრდით გადაყვანის მიზნით. ამას მოჰყვა ბავშვის ემოციური ფონი. მშობელს სატელეფონო ზარის მეშვეობით შეატყობინეს, რომ მის შვილს ჰქონდა ნერვული შეტევა, ადგილზე მისულს მას სკოლასთან დახვდნენ სასწრაფო დახმარების სამსახური, პოლიციისა და სოციალური სამსახურის თანამშრომლები. ბავშვის მშობლისგან განცალკევების შემდეგ, სოციალურმა სამსახურმა მიმართა მცხეთის რაიონულ სასამართლოს შუამდგომლობით, რათა კანონიერად ეცნო გადაწყვეტილება ბავშვის ბიოლოგიური ოჯახიდან გამოყვანის და სხვა ოჯახში მინდობით აღზრდით გადაცემის თაობაზე. მაგრამ, სასამართლომ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და ბავშვი მეორე დღესვე დაუბრუნდა ბიოლოგიურ მშობლებს. სოციალურმა სამსახურმა გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა, მაგრამ სააპელაციო სასამართლომაც ძალაში დატოვა რაიონული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. შესაბამისად, ბავშვი სასამართლოს გადაწყვეტილებით ბიოლოგიურ ოჯახში დარჩა.

[31] საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ“, მ.2 (ი)
[32] საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ“, მ.15 (1)
[33] საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ“, მ. 16 (1)
[34] ბავშვის უფლებათა კოდექსი, მ. 26 (1) (2)

აღნიშნულ საქმეში, სოციალური სამსახურის თანამშრომლებმა გამოავლინეს არაკვალიფიციურობა, რამაც ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობის დამძიმება გამოიწვია. რეალურად, არ არსებობდა საკმარისი საფუძველი ბავშვის საჩქარო წესით ოჯახიდან წასაყვანად. სოციალური მუშაობა მიმართული უნდა იყოს ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში შენარჩუნების მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელებისა და მონიტორინგისკენ[35]. აქვე, აღსანიშნავია, რომ ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის თანახმად, ბავშვებს, რომლებსაც შეუძლიათ საკუთარი შეხედულებების თავისუფლად გამოხატვა მათთან დაკავშირებულ საკითხებზე, უნდა მიეცეთ შესაძლებლობა სერიოზულად იყოს მიღებული მათი აზრი[36]. ამასთან, მართალია, საქართველოს ბავშვის უფლებათა კოდექსის თანახმად, სოციალური მუშაკი უფლებამოსილია დაუყოვნებლივ მიიღოს ბავშვის მშობლისგან განცალკევების შესახებ გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძლებელია ბავშვის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან უსაფრთხოებას მყისიერი და უშუალო საფრთხე შეექმნას[37], მაგრამ აღნიშნულ საქმეში ამგვარი გარემოებები არ გამოკვეთილა. აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ცენტრის ადვოკატმა საქმეზე დამატებით მოამზადა ადმინისტრაციული სარჩელი, რომლითაც სოციალური სააგენტოსგან მოითხოვა 20 000 ლარის ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურება. ამჟამად, ოჯახი პროცესის დაწყებას ელოდება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ფინეთის წინააღმდეგ არსებულ საქმეში აღნიშნა, რომ სახელმწიფომ დაარღვია საკუთარი პოზიტიური ვალდებულება, რომელიც გულისხმობდა განმცხადებლის ოჯახის გაერთიანების შესაძლებლობის მიზნად დასახვას და ოჯახის გაერთიანებისკენ მიმართული მცდელობების ერთიანობას[38]. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ბავშვის ოჯახისგან განცალკევებასთან დაკავშირებით საკმაოდ მაღალი სტანდარტი აქვს დაწესებული. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბავშვები მოათავსეს ალტერნატიული ზრუნვის დაწესებულებაში. ორივე მშობელი იყო ბრმა, უმუშევარი და უკიდურეს გაჭირვებაში მცხოვრები. ეროვნული სასამართლოს აზრით, ეს ყოველივე საფრთხისშემცველი იყო ბავშვების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ საქმეში არასაკმარისი მტკიცებულებები იყო, ასევე იკვეთებოდა, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ თავი აარიდა პოზიტიური ვალდებულებების შესრულებას ოჯახისთვის სოციალურ პროგრამებზე წვდომის მხარდაჭერის ნაწილში. დამატებით, ეროვნულ სასამართლოებში პროცესების მიმდინარეობისას ბავშვებს არ ჰქონდათ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის

[35] საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ“, მ. 16 (1) (ვ)
[36] ბავშვთა უფლებების კონვენცია, მ.12
[37] ბავშვის უფლებათა კოდექსი, მ. 26 (3)
[38] K.A. v. Finland; 27751/95; (2003); (ECtHR)

შესაძლებლობა. ამგვარად, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები რელევანტური, მაგრამ არასაკმარისი იყო ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებით დაცულ სფეროში ასეთი ფორმით ჩასარევად. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის, პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლების, დარღვევა[39]. ამავე უფლების დარღვევა დაადგინა, როცა დედას ჰქონდა პარანოიდული შიზოფრენია, შვილები კი ალტერნატიული ზრუნვის დაწესებულებაში განათავსეს ისე, რომ სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე მათი მდგომარეობა სასამართლომ მხოლოდ ორჯერ გამოიკვლია და არ არსებობდა განმცხადებელსა და სოციალურ მუშაკებს შორის რეგულარული კონტაქტი. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ ვერ მოახერხა მშობლის ინტერესების ადეკვატური დაცვა და დაარღვია კონვენციის მე-8 მუხლი[40].

მეორე მხრივ, პრაქტიკაში გამოკვეთილია შემთხვევები, როცა ერთ-ერთი მშობელი ხასიათდება ბავშვისთვის უარყოფითი პიროვნული თვისებებით, მაგრამ სოციალური მუშაკი საქმეში აქტიურად არ ერევა ბავშვის ინტერესების დასაცავად. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ცენტრის ერთ-ერთ საქმეში, მამაკაცი ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ძალადობდა გერებზე, ხოლო საერთო შვილთან მიმართებაში იკვეთებოდა მხოლოდ ფსიქოლოგიური ძალადობა. ამის მიუხედავად, საერთო შვილი სწორედ მამასთან ცხოვრობს, ხოლო დედას არ ეძლევა ბავშვთან შეხვედრის შესაძლებლობა. სოციალური სამსახურის თანამშრომლის მიერ ბავშვის საცხოვრებელ ადგილზე რამდენიმე ვიზიტის მიუხედავად, არ განხორციელებულა ქმედითი ნაბიჯები. ამჟამად, ცენტრის ადვოკატმა მოამზადა სარჩელი ბავშვის ადგილსამყოფელის განსაზღვრის თაობაზე.

ამ საკითხს ეხება ადამიანის უფლებათა ცენტრის კიდევ ერთი საქმე. ბავშვი, რომელიც დედასთან, ბებიასთან და მამასთან ცხოვრობდა, სისტემატურად ხდებოდა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის თვითმხილველი. მამა, 2 წლის ბავშვის თანდასწრებით ძალადობდა როგორც ბავშვის დედაზე, ისე ბებიაზე. საქმეში არსებობს აუდიოჩანაწერები, რომელშიც იკვეთება დედის მიმართ ფიზიკური ძალადობა და ამ დროს ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვს მინიჭებული ჰქონდა დაზარალებულის სტატუსი, ხოლო მოძალადე იყო ბრალდებულად ცნობილი, მას მაინც დაუბრკოლებლად შეეძლო ბავშვის ნახვა და კომუნიკაცია მანამ, სანამ ადვოკატმა არ მოითხოვა შესაბამისი შემაკავებელი ორდერის გამოცემა.

მნიშვნელოვანია იმ ფაქტის აღიარება, რომ ოჯახში ბავშვის თანდასწრებით სისტემატური ძალადობა არასრულწლოვნის ფსიქიკას დიდ და ზოგიერთ შემთხვევაში გამოუსწორებელ ზიანს აყენებს. ბავშვს როცა სისტემატურად ესმის ყვირილი, ჩხუბი და

[39] Saviny v. Ukraine; (2008); (ECtHR)
[40] B. v. Romania; 1285/03; (2013); (ECtHR)

ძალადობრივი გამონათქვამები, ეს ავტომატურად გულისხმობს მასზე ფსიქოლოგიურ ძალადობას. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სოციალურმა სამსახურმა გამოიკვლიოს მშობლის ზოგადი მიდგომა არა მხოლოდ ბიოლოგიურ შვილებთან, არამედ გერებთან, მეუღლესთან თუ სხვა ოჯახის წევრებთან მიმართებითაც. ევროპის სოციალური ქარტიის მე-17 მუხლი ხელმომწერ სახელმწიფოებს ავალდებულებს, უზრუნველყონ სახელმწიფოს მხრიდან იმ ბავშვებისა და ახალგაზრდების დაცვა და მათთვის სპეციალური დახმარების გაწევა, რომლებიც მოკლებულნი არიან ოჯახურ მზრუნველობას[41].

საქართველოს სახალხო დამცველის განცხადებით, ქვეყანაში არსებულ სოციალურ პრობლემები იწვევს ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის კიდევ უფრო დამძიმებას. ამ გარემოებებში, სოციალურ მუშაკს ეკისრება უდიდესი პასუხისმგებლობა და მნიშვნელოვანია რომ სახელმწიფომ დროულად გაატაროს ყველა სათანადო ღონისძიება სოციალური სისტემის რეფორმის მიზნით[42].

დასკვნა

ბავშვთა უფლებების დაცვის მიზნით საქართველოში არსებული ეროვნული და საერთაშორისო საკანონმდებლო ბაზის მიუხედავად, ქვეყანაში ბავშვის მიმართ ძალადობას მსხვილი მასშტაბები აქვს და უმეტესად ხორციელდება ისეთ წრეებში, სადაც ბავშვი თავს უსაფრთხოდ უნდა გრძნობდეს. ამდენად, ბავშვები ხშირად ხდებიან ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი ოჯახში, საზოგადოებაში და სკოლაში. ამ ყოველივეს თან ერთვის ქვეყანაში არსებული სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა. შედეგად, არასრულწლოვნებს უვითარდებათ პოსტ-ტრავმული სტრესი და სხვა ფსიქოლოგიური პრობლემები, რასაც ხელისუფლება და საზოგადოება მოუმზადებელი ხვდება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან იკვეთება, რომ სწორედ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა ბავშვთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა და მისი მოძალადე პირებისგან დაცვა ნებისმიერ სივრცეში.

ადამიანის უფლებათა ცენტრის არასრულწლოვანთა საქმეების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა მართლმსაჯულების პრობლემური საკითხები. კერძოდ, საქმეებში, სადაც მნიშნველოვანია არასრულწლოვანთა მოწმის სახით გამოკითხვა, საგამოძიებო ორგანოები ვერ ახდენენ მათ გამოსაკითხად საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული გარემოსა და პროცედურების უზრუნველყოფას.

[41] ევროპის სოციალური ქარტია, მ. 17 (1) (გ)

[42] საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება ქვეყნის სოციალურ სისტემაში არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით; 12.02.2019; (ბოლო ნახვა: 20.05.2023)

ასევე, რიგ შემთხვევებში, პრობლემურია არასრულწლოვანთა ჩვენებების არასაკმარის მტკიცებულებად მიჩნევა.

დამატებითი მართლმსაჯულების გამოწვევაა არასრულწლოვან პირთა დანაშაულში ჩართვის გახშირებული ფაქტები სისხლის სამართლის კოდექსში მათი ასაკის ბრალის გამომრიცხველ გარემოებად მიჩნევის გამო. ასევე, პრობლემურია განრიდებისა და საპროცესო შეთანხმების პრაქტიკაში გამოყენების ტენდენცია. კერძოდ, არასრულწლოვნების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განრიდების მექანიზმები პრიორიტეტულად უნდა გამოიყენებოდეს მათთან საპროცესო შეთანხმების დამტკიცებასთან შედარებით.

კანონმდებლობის მიხედვით, ბავშვთა უფლებების დარღვევის ფაქტებზე სოციალური სამსახური ახდენს შესაბამის რეაგირებას, მაგრამ პრაქტიკაში, მაგალითად, ბავშვის მშობლისგან განცალკევებასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებთან მიმართებაში, იკვეთება სოციალური მუშაკების არაკვალიფიციურობასთან დაკავშირებული პრობლემები. ასევე, რიგ შემთხვევებში, პრობლემურია ბავშვთა არასასურველ გარემოში ყოფნის ფაქტებზე სოციალური მუშაკების არაეფექტური ჩართულობაც.

მნიშვნელოვანია, რომ პრაქტიკაში ბავშვის უფლებებთან დაკავშირებით სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს, მთავარი სახელმძღვანელო ბავშვის საუკეთესო ინტერესები იყოს. ეს მოიცავს ბავშვის მიმართ ძალადობის ნებისმიერი ფორმის თავიდან აცილებას, მისი ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაცვის საჭიროებასა და ჰარმონიული განვითარების შესაძლებლობას, ორივე მშობელთან ბავშვის ურთიერთობის შენარჩუნებას, შესაძლო ზიანის მიყენების თავიდან აცილებისთვის კონკრეტული ღონისძიებების შემუშავებას და ა.შ.

რეკომენდაციები

შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- შეიქმნას ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევების ერთიანი ბაზა, რათა მოხდეს შესაბამისი პასუხისმგებელი სტრუქტურების მიერ ძალადობის შემთხვევების შესწავლა, რეაგირება და მონიტორინგი.
- საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, შეიქმნას დამატებითი საინფორმაციო კამპანიები ბავშვთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის მიზნით.
- ოჯახში ძალადობის გამოსააშკარავებლად საგამოძიებო ორგანოებისთვის მიმართვიანობის ზრდის მიზნით, საზოგადოებაში წახალისდეს ინფორმაციის შეტყობინებისკენ მიმართული ღონისძიებები.

- საგამოძიებო ორგანოებმა არასრულწლოვანი მოწმეების დაკითხვა/ გამოკითხვის დროს ბავშვის დამატებითი ტრავმირების გარეშე სანდო ინფორმაციის მიღების მიზნით პრაქტიკაში დანერგონ NICHD-ის პროტოკოლის სტანდარტები. მნიშვნელოვანია, გამოიყოს სპეციალური - კეთილმოწყობილი სივრცეები და გამოკითხვის პროცესი გახდეს უფრო მოქნილი, სწრაფი და ბავშვზე მორგებული.
- ბავშვის უფლებების და ბავშვთან კომუნიკაციის საკითხებთან დაკავშირებით, საჭიროა იმ პოლიციის თანამშრომლების გადამზადება/ კვალიფიკაციის ამაღლება, რომლებსაც აქვთ ბავშვებთან კონტაქტი.
- საჭიროა არასრულწლოვანთა განრიდება-მედიაციის პროგრამის მეტად წახალისება და ამ პროგრამის შესახებ საგამოძიებო ორგანოში ინფორმირებულობის ამაღლება, რათა შესაბამის საქმეებზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცებასთან შედარებით, უპირატესობა მიენიჭოს არასრულწლოვნების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განრიდებას.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- ბავშვის აღმზრდელების/მზრუნველების/მასწავლებლების წესდებაში ზუსტი ფორმულირებით აიკრძალოს ბავშვების ფიზიკური ან სხვა დამამცირებელი სასჯელი.
- აუცილებელია პედაგოგების გადამზადება, რათა დროულად მოხდეს ბავშვის მიმართ ძალადობის პრევენცია. ასევე, ბავშვთა მიმართ გამოვლენილი ძალადობის შემთხვევებში, უზრუნველყოფილი იყოს ბავშვის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე შესაბამისი უწყებების დროული შეტყობინება.
- მნიშნველოვანია, ამაღლდეს მშობლების და სკოლის პერსონალისა ცნობირება ფსიქოლოგიური ძალადობის მნიშვნელობასა და ბავშვის განვითარებაზე მისი დამანგრეველი ეფექტების შესახებ. ასევე, მნიშვნელოვანია ფსიქოლოგების როლის პოზიტიურ ჭრილში წარმოჩენა და ფსიქოლოგიური დახმარების უზრუნველყოფის გაძლიერება.
- საჯარო და კერძო სკოლებში ჩატარდეს შესაბამისი კამპანიები ე.წ. ბულინგის ნეგატიური გავლენის შესახებ მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის. ასევე, სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამაში მნიშვნელოვანი ყურადღება გამახვილდეს განსხვავებულობის მიმღებლობის, დისკრიმინაციის დაუშვებლობისა და თანასწორობის საკითხებზე.
- ჩატარდეს ბავშვთა მიმართ ფსიქოლოგიური, ფიზიკური თუ სხვა სახის ძალადობაში (მათ შორის მსუბუქ სიტყვიერ შეურაცხყოფაში) შემჩნეული და დისციპლინურ სახდელს დაქვემდებარებული პედაგოგების მონიტორინგი. ასევე,

მნიშვნელოვანია ასეთი პედაგოგებისთვის შესაბამისი, მათზე მორგებული ტრენინგების ჩატარება.

- გადამზადდნენ მანდატურები, არასრულწლოვნებზე ძალადობის ფაქტების აღმოჩენის ან მათ მიერ ცივი იარაღის ტარების ფაქტებზე ეფექტური რეაგირებისა და სამომავლო დანაშაულის აღკვეთის მიზნით.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკების გადამზადება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება.

საერთო სასამართლოებს:

- მშობლებს განქორწინებამდე მიეწოდოთ ინფორმაცია ბავშვის ადგილსამყოფელის განსაზღვრის მიზნით, მშობლის მხრიდან ბავშვზე ფსიქოლოგიური ძალადობის ნეგატიური ეფექტების შესახებ.

იუსტიციის სამინისტროს:

- მშობლის მიერ პასუხისმგებლობებისგან თავის არიდების მიზნით, შემოსავლების დაფარვის შემთხვევებში, დაიხვეწოს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ალიმენტის იძულებით გადახდევინების მექანიზმები.